საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 225 პარასკევი, 3 მაისი 1918 წ. № 225

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

30

მთავარი კომიტეტის ორგანო

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის საზავო დელეგაცია 4 მაისს, დილით გაემგზავრება ბათომს: დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელია.—ოსმალეთის საზავო დელეგაციას ვეჰიბ-ფაშა თავმჯდომარეობს.—გერმანელებმა ყირიმში თეოდოსია აიღეს.—ფინლანდიის ჯარმა ვიბორგის ციხე დაიკავა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ყ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

გულდათუთქულნი მშობლები ნინო და იესე, თამარ, ვეზიროვები და საშა და ერმალაი ნაჭყიპიანები ბიძა იოსებ იოსების ძე ავალიშვილი, დეიდა მარო ფაჩულიშვილისა ქმარ-შვილითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს 3 მაისს გარდახდილი იქნება მე 9 დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად მოკლულის

შალვას |შალიკოს|

სულის მოსახსენებლად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვა დილის 9 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. 1154

მეუღლე თ. სახოკია, შვილები—თინათინ და ვახტანგი, მამა—დეკანოზი ანტონ კეკელია, ძმები—მიხა, სამუელ, გრიგოლ, გურია, ალექსანდრე, დები—ანასტასია და ციცუ, რძლები—ოლღა და [illegible] კეკელიები, სიძე—მღვდ. ამვროსი ოდიშარია აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხუთშაბათს, მაისის 9 (ახალი სტილით) სოფ. ბანძაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ნადეჟდა სახოკიას

სულის მოსახსენებლად.

მწუხარებით აღვსილნი: მეუღლე ელენე დავითის ასული, დები: მარიამ აბდუშელიშვილისა, ელისაბედ წინამძღვრიშვილისა, თამარ ნაცვლიშვილისა და ძმა ნიკოლოზ ცოლშვილითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 4 მაისს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალებულის ძვირფას

ალექსანდრე |სანდრო| ივანეს ძე გაგაშვილისა.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 150

ქართული კლუბი
ორშაბათს, 23 აპრილს, (6 მაისი) საღამოთი
ქართველ მსახიობთა მიერ პირველად ტფილისის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ვასო აბაშიძის და ალ. წუწუნავას მონაწილეობით შალვა დადიანის პიესა
„გუშინდელნი"
(ძველი მმართველები). მონაწილეობს მთელი დასი.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება.

სააღდგომოდ გამოვა ჟურნალ
„პრომეთეს"
მე-3 ნომერი, შემდეგი შინაარსით:
1. აკაკი პაპავა—„სოლეილდორ", 2. ი. გრიშაშვილი—ლია! 3. კიწია გამსახურდია—ორი სონეტი (1. გრაფ ცეპელინს, 2. ემილ ვერჰარნს), 4. ვ. ბარნოვი—ამქრის მშვენება, 5. გ. აბელდიანი—დასაბამი ნივთთა (რიგვედით), 6. ქ. მეჭიაძე—ნარზანის სამეფოში, 7. ხ. წევილი—თალიკო, 8. ექვთიმე თაყაიშვილი—ოყურეშის ეკლესია და მასში დაცული ნივთები, 9. დ. უზნაძე—ორგანიული მსოფლმხედველობა, 10. ვარლამ ჩერქეზიშვილი—საქართველოს პეტიცია ჰააგის კონფერენციისადმი 1907 წ.
ჟურნალი ეღირება 4 მანეთი ხელზე მყიდველებისათვის. ჟურნალის ყიდვა შეიძლება ტფილისში და პროვინციებში „განათლების სააგენტოებში" ისიდორე კვიცარიძესთან. პრომეთეს და სახალხო საქმის კონტორაში.
1090 სარედაქციო კოლეგია.

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შექეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.
დღეს, 3 მაისს გაიმართება
სადღესასწაულო წარმოდგენები
მთელი დასის მონაწილეობით. ყველა ახალი არტისტი მონაწილეობს. მრავალი ახალი ნომერი. ორშაბათიდან 6 მაისიდან ორ ორი სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება. დღისით დასაწყისი 1 ს., საღ. 8 ს. დასასრული 11 ს. 150

ტფილისის საქალაქო მილიციის უფროსის
განცხადება

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით კერძო ავტომობილების პატრონები, რომელნიც ტფილისიდან კაჯავაში დადიან და წინაუკმო, ვალდებული არიან ყოველთვის გამგზავრების წინ წაიღონ ტფილისის ფოსტიდან ტომარა წერილებით და გაზეთებით კაჯავის ფოსტაში მისატანად.

ის ავტომობილები, რომელნიც არ ემორჩილებიან ამ განკარგულებას, არ **იქმნებიან გაშვებული საქართველოს სამხედრო** გზით. ასევე მოეპყრობიან კაჯავიდან მომავალ ავტომობილებს.

ავტომობილისათვის გადასაცემი ტომარა ტფილისის საფოსტო სადგურის პირდაპირ იქნება, ოლღას ქუჩაზე.

თუ იმ ავტომობილების შემდეგ, რომელნიც კორესპონდენციას წაიღებენ, იმავე დღეს სხვა ავტომობილებით გაემგზავრებიან კაჯავაში, უკანასკნელებს დაუბრკოლებლივ გაუშვებენ.

ეს დადგენილება უთუოდ უნდა იქმნას შესრულებული 15 აპრილიდან.

მილიციის უფროსის მაგიერად [illegible]. 1146

ტფილისი, 3 მაისი 1918 წ.

ამიერკავკასიამ დაშეიარაღებული მოუკიდებლობა განეიტრალიტეტი. მოაცხადა. იგი ჩამოშორდა რუსეთს, რათა ერთის მხრით თავი დაეღწია იმ ანარქიისთვის, რომელიც რუსეთშია გამეფებული, მეორეს მხრით დაეცვა თავისი ინტერესები გერმანიის იმპერიალიზმისაგან. საბოლოოდ დაშლილი და განადგურებული რუსეთი გერმანიის უბრალო ახალშენად გადაიქცა. ჩვენ რომ რუსეთის საზღვრებში დავრჩენილიყავით, იგივე შედეგი უნდა გვეწვნია, რანაირიც რუსეთმა სწვნია ამ რიგად ჩვენ ორნაირი საფრთხის წინაშე ვიქნებოდით: საშინელი ანარქიისა—არევ-დარევის და გერმანიის გავლენისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენ საშუალება გვეძლევა წამოვსდგეთ, ევროპის წინაშე და განვაცხადოთ, რომ ჩვენ არც რუსული ანარქია გვინდა და არც ის საშინელება, რომელიც იმას მოაქვს.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ამიერკავკასია თვით თავისი მდებარეობით ძალიან მიმზიდველი ადგილია მეომარ სახელმწიფოთათვის. როგორც გერმანია ისე ოსმალეთი ცდილობენ ამიერკავკასია გაიხადონ იმ ბაზად, საიდანაც ლახვარი შეიძლება ჩაეცეს ინგლისის იმპერიალიზმს. ორი გიგანტი ევროპისა—გერმანია და ინგლისი—სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას აწარმოებენ და გულუბრყვილობა იქნება იმის ფიქრი, თითქოს ამ გიგანტების ბრძოლიდან მშრალად შეუძლიან გამოსვლა ისეთს პატარა ერს, რანაირიც ქართველი ერია. როგორც გერმანიისა და რუსეთს შორის დადებულმა სეპარატიულმა ზავმა ბოლო ვერ მოუღო ომს, ისე ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება ვერ ჩაითვლება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებ საუკეთესო გარანტიად. მაგრამ დამოუკიდებლობას აქვს ერთი კარგი მხარე და ამით ჩვენ სავსებით უნდა ვისარგებლოთ. როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ჩვენ შეგვეძლიან ნეიტრალიტეტი გამოვაცხადოთ, ვსთქვათ საჯაროდ, რომ ჩვენ არავის არ ვუომებით და კიდეც შევეცადოთ ამ ნეიტრალიტეტის დაცვა. ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემდეგ ჩვენს მტრად უნდა ჩაითვალოს ყველა ის, ვინც ჩვენს შინაურს საქმეებში ჩარევას მოისურვებს, შეეცდება ჩვენი სუვერენული უფლების შელახვას ხოლო მეგობრად მხოლოდ იმას ჩავსთვლით, ვინც ანგარიშს გაუწევს ჩვენს დამოუკიდებლობას და უზრუნველჰყოფს ჩვენს თავისუფლებას.

თუ ჩვენმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო, თუ უკანასკნელი იმედი დემოკრატიისა გაცრუვდა, მაშინ ერთი გზა ღა დაგვრჩენია: ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ჩვენი თავისუფლების შესანარჩუნებლად. მაშინ ხალხსაც და ქვეყანასაც ეცოდინება, რომ ამიერკავკასიას არავითარი სურვილი არა აქვს ან ერთს მებრძოლ ჯგუფს დაუჭიროს მხარი, ან მეორეს. ეცოდინება ყველას, რომ ამიერკავკასიას მხოლოდ თავისი თავისუფლება უნდა და თუ იბრძვის, არა დაპყრობითი რამ მიზნებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვას თავისი თავი და დამოუკიდებლობა. თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაწეული მსხვერპლი კი არასოდეს არ იქნება მეტი და უნაყოფო...

ბათომის შემდეგ
I

ბათომისა და ბათომის ოლქის დაკარგვა, უეჭველია დიდს ხაზს გაავლებს ჩვენს ცხოვრებაში. ეს მთელი ხანაა ქართველი ერის ისტორიული არსებობისა. აქ გადაიშალა მეტისმეტი სიცხადით, მეტისმეტი სავსებით ის ტრაგიზმი ჩვენის მდგომარეობისა, რომელიც საუკუნოებიდან მოსდევს ჩვენს ბედს და რომელსაც აქამდის თავი ვერ დავაღწიეთ მიუხედავად მრავალის და მრავალის მსხვერპლისა. საქმე მარტო ფ [illegible] ჩვენი განვითარებისთვის აუცილებელ ტერიტორიის წაგლეჯას არ შეეხება, არც იმას, რომ [illegible] მოგვწყვიტეს გადაგვარებული ძმები, რომელთა მობრუნების იმედს არ ვკარგავდით. არა, დაიმსხვრა ბევრი ჩვენი რწმენა, შეირყა ნიადაგი, რომელსაც ვემყარებოდით, გაიბზარა ბურჯი, რომელშიაც ასე საოცრად ვიცავდით ჩვენს იდეალს, გაირღვა ის კვარცხლბეკი, რომელზედაც დიდებულად აღვმართეთ ჩვენი ღმერთები.

ნურავინ იფიქრებს, ვითომც მინდოდეს, გულიდან ამოვიგლიჯო ყველაფერი ის, რაც დედის რძესავით შევითვისე და შევისისხლხორცე ჩვენს ბუნებას და ურომლისოდ სუნთქვასაც კი ვერ შევსძლებდით. ფიქრადაც არ მომსვლია, უკუვაგდო ის საფუძველი ჩვენი დროის პოლიტიკურ და სოციალურ სოფლმხედველობისა, რომელიც კაცობრიობის უდიდეს დირებულებას შეადგენს. მაგრამ უნდა გვქონდეს ყველას იმის სინდისი, უნდა შეგვწევდეს დღეს გამბედაობა, რომ იმის შემდეგ, რაც მოხდა, რაც საშინელი დღეები განვიცადეთ, მიუდგომლად, თვალხილულად, მოურიდებლად გადავხედოთ გავლილ მოღვაწეობას, ხელახლა ავსწონოთ, შევაფასოთ ყველაფერი, სათითაოდ გადავსინჯოთ ყოველი წვრილმანი ჩვენის მისწრაფებისა და რწმენისა და გავიკვლიოთ უფრო სწორი გზა, ვიდრე დღემდის გვქონდა.

დავკარგეთ ბათომის მხარე, მაგრამ ამ დაუფასებელი სასყიდლით მოვიპოვოთ ფხიზელი გონება მაინც, გამოვფხიზლდეთ და ვისწავლოთ სინამდვილის დანახვა. უხეშმა ხელმა წაგვართვა კუთხე, რომელიც ოდესღაც სავანე იყო ჩვენის აღორძინებისა, მაგრამ ამიერიდან შეიქმნა თვით ჩვენს არსებაში ისეთი პირობები, რომლებიც გარდაუვალად წარმოშობენ ჩვენს აღდგენას. ნუღარ მოვიტყუვებთ თავს, რომ ვითომც დღევანდელი ჩვენი უბედურების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ძალა იყოს. არა, მთავარი დამნაშავე თვითონ ვართ და ვერავითარი ხელის შემწყობი გარემოება ვერ განკურნავს ჩვენს ტკივილებს, თუ არ შევსცვალეთ საკუთარი მოქმედება, თუ არ ვაწარმოეთ სხვანაირი პოლიტიკა.

დიდი იდეალისტები ვართ, შეიძლება იმდენი სიყვარული გვქონდეს მაღალი მისწრაფებისა, რომ ვიდარც კი ვიტევდით, მხოლოდ აშკარაა, რომ უვიცნი ვართ ამ მისწრაფების განხორციელებისა და შესრულებისთვის. მოგვდის ის, რაც ემართება ადამიანს, რომელსაც უძლიერესი იარაღი აქვს, მაგრამ კი არ იცის მისი მოხმარება. ცხოვრება მეტად განყენებულად წარმოგვიდგენია იდეალი ძალზე გამათემატიკებული გვაქვს და გვწადია მარ მშრალის ფორმულებით გადავჭრათ სინამდვილის ფრიად რთული საკითხები. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სიტყვათა და რეზოლუციათა სამეფოში ვმყოფობდით და თეორიულად, იდეურად ყველაფერი წესზე და რიგზე გვქონდა დალაგებული. ყოველ კითხვისთვის პასუხი მზად იყო, ყოველი გარემოება გათვალისწინებული, ყოველი გასაჭირი დაღწეული, ყოველი დაბრკოლება დაძლეული მაგრამ... მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში და არც ჩვენი საკუთარი ძალა ღირსება და ნაკლი გვქონდა ნამდვილად შესწავლილი და არც მტრის წინააღმდეგობა. არ ვცდილობდით იდეალის ფორმულების კონკრეტიზაციას, შემოწმებას, შესწორებას ერის ცხოვრების ნამდვილის ვითარებით, არამედ თვითონ ცხოვრება განყენებულ ფორმულებში ჩამოვაყალიბეთ თეორიისა და არა პირობების და წერილებითი შესწავლის მეოხებით.

ვითვისებდით თეორიებს და ვასწავლიდით ხალხს ფორმულებს, ვმართავდით მიტინგებს, კრებებს და გამოგვქონდა საუცხოვო რეზოლუციები, რომლებიც ყველას ხიბლავდა თავის მთლიანობით, სიმტკიცით და გარკვეულობით, მაგრამ ეს არ იყო პოლიტიკური მოღვაწეობა, არ იყო მომზადება ხალხისა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის. შევეჩვიეთ მარტო სიტყვიერ ცხოვრებას და დავკარგეთ სინამდვილის შემეცნება. ამიტომ როცა წარვსდგვით პრაქტიკული მუშაობის წინაშე უუნარონი გამოვდექით და ვერსად გამოუნახეთ გასავალი გაჭირვებულ მდგომარეობას...

ეს საერთო სენია ყველა ქართველის, მთელი ქართველი ერისა, ყოველი პოლიტიკური პარტიისა. ამ პასუხისმგებლობას ვერავინ მოიშორებს თავიდან ცხადია ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მესვეურობა ჩვენი ს. დემოკრატების, მენშევიკების ხელშია და უდიდესი დანაშაულობა მათ კისერზეა, მათ მოსთხოვს მომავალი ანგარიშს იმისთვის, რაც თავს დაგვატყდა—ამის შესახებ ცალკე მოვილაპარაკებთ. მაგრამ ეს არ გაანთავისუფლებს სხვა მომქმედ პარტიებს პასუხისმგებლობისაგან, ყველანი წარსდგებიან მკაცრი სამსჯავროს წინაშე, ყველას უდევს წილი ეხლანდელ განსაცდელში.

სამ. ფირცხალავა.

ჩვენი მომავალი
4.

საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებს და ახალ ცხოვრების განმტკიცებას, დამკვიდრებას, ხალხში პოპულიარობის მოპოებას დიდი ენერგია, ფრთხილი და ფხიზელი მოქმედება სჭირიან. გულახდილად უნდა აღვიაროთ, ხალხი იმდენად მოღლილია, რომ მას ჯეროვნად ვერ შეუფასებია, ვერც შეაფასებს ახალ პოლიტიკურ წყობილებას. ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა ორ ფრონტზე—გარეშე მტრებთან, რომელთა შესახებ უკვე ვილაპარაკეთ და შინაურებთან, რომელნიც ახალ წყობილებას ეგრე ადვილად ვერ შეურიგდებიან. ხოლო შინაურ მტრებთან ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ არა მარტო იარაღით, არამედ გაორკეცებული შემოქმედებითი მუშაობით.

ჩვენ ვიცით, იყო დრო, ბოლშევიზმს ჰქონდა ერთნაირი დინამიური ძალა რომელიც უკმაყოფილო მასსას იზიდავდა. რევოლუციის თითქმის არც ერთი საკითხი არ გადაუწყვეტნია ხეირიანად და მალე. რუსეთის საბჭოთა მთავრობას თითქოს დიდი პრეტენზიები ჰქონდა და ქვეყანად სამოთხის დამყარებას გვპირდებოდა. ცნობილია, რომ ილიუზიას და ზღაპარს არსად იმდენი გასავალი არა აქვს, რამდენადაც მასსაში. რუსის შეუგნებელმა ხალხმა ეს ზღაპარი იწამა და იდეალი სისხლიან კოშმარად გადაიქცა. ჩვენში საქმე უფრო მწყობრად მიმდინარეობდა. დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ბოლშევიზმმა დაჰკარგა დინამიური ძალა და ხალხს ახალს ვერაფერს აღჰპირდება. თითქმის ყველა რეფორმა, რომელიც დიდი დარაბით და სისხლით ჰხორციელდება რუსეთში საბჭოთა მიერ—ჩვენში განხორციელდა კანონიერ მთავრობის მეოხებით. თავის თავად, კურსის და რევოლუციონური შემოქმედების მხრით აქაური მთავრობა და რევოლუციონური ორგანოები არაფრით ჩამოუვარდებიან რუსეთისას. საჭიროა მხოლოდ მეტი სიმტკიცე და ბოლომდე მიყვანა ყველა იმ საქმისა, რომელიც უკვე დაწყებულია, ამათში უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია მიწის საკითხი. აუცილებელია გაორკეცებული ენერგიით მუშაობა იმ დეკრეტის და კანონის განახორციელებლად მაინც—სეიმმა რომ მიიღო. თუ ეს საქმე კეთილად დაგვირ-

გვინდა—მრავალი უკმაყოფილო ელემენტი, დღეს სოფელში აგვილენა და გახევალი რომ აქვს—ნიადაგს დაჰკარგავს. მაშინ დადგება ხანი კულტურულ მუშაობის და დამშვიდებულ რევოლიუციონური შემოქმედებისა, რისთვისაც საჭიროა გაერთიანება ყველა იმ ცხოველ ძალებისა, რომელნიც ჩვენს დამოუკიდებლობას აღიარებენ და ჩვენთან მუშაობა სწადიანთ ხალხის საკეთილდღეოდ.

ამას გარდა საჭიროა მტკიცე მთავრობა. ყველამ უნდა იგრძნოს, რომ არის მისი ნდობით აღჭურვილი ორგანო, რომელიც იზრუნებს რესპუბლიკისათვის. თუ ეს სიმტკიცე და ნდობა ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ—ხალხში არეულობა არ მოისპობა. ყველა ჰფიქრობს სხვას რაიმე წაჰგლიჯოს, რადგან არ სჯერა, რომ სამართლიანობას დაიცავს ვინმე და იგი გარიყული არ დარჩება. ჩვენ უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, რომ მოხდა ერთნაირი ინდივიდუალიზაცია რევოლიუციისა. როცა კანონიერი გზით ვერ ხერხდება საჭიროებათა დაკმაყოფილება, პიროვნება ცალკე მოქმედებას იწყებს და პირადად სცდილობს თავის საარსებო ინტერესების მოგვარებას. საჭიროა მთავრობის სიძლიერე და ვაჟკაცობა, რათა აგრძნობინოს ყველას თავისი არსებობა და ის, რომ იგი მთელის ინტერესებისათვის იბრძოლებს კერძო პიროვნებათა წინააღმდეგ. ამ გზით იგი გარს შემოიკრებს მთელ შეგნებულ ნაწილს რევოლიუციონური დემოკრატიისას და ჩვენი იდეალებიც საფრთხეს ასცდება.

არის ერთი საკითხი, რომელიც შეიძლება გარეგნად უმნიშვნელოდ მოეჩვენოს ვისმე, ხოლო ხალხისათვის ფრიად მნიშვნელოვანია. ესაა ადმინისტრაციის მოეწყობილობა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ უდიდესი ნაწილი ეგრედ წოდებულ ბოლშევიკებისა—ადმინისტრაციის უხეირობით არის შექმნილი. ბევრგან უვიცი და გამოუცდელი ადმინისტრატორები თვითონ ჰქმნიან აუტანელ მდგომარეობას და ვიწრო პარტიულ პოლიტიკისათვის საერთო საქმეს ჰღუპავენ. უკმაყოფილო ხალხს მთელ ახალ წესწყობილებაზე გადააქვს თავისი საყვედურ-სამდურავები და ეპოტინება ბოლშევიზმს, რადგან ეს უკანასკნელი წინააღმდეგია არსებულ წეს წყობილებისა და მის გადახალისებას ჰპირდება. ძირითადი და გენერალური გაწმენდა, ადმინისტრატიული აპარატის ხეირიანად მოწყობა—აი, რა გვესაჭიროება დღეს. ღრმად დარწმუნებული ვართ, ვინც სოფელს იცნობს, უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ეს აუცილებელია. ვინაიდან ხალხს ზოგგან ახალი ადმინისტრატორები თავის უვიცობით და ზოგჯერ ბოროტმოქმედებით ძირში ტვირთად დააწვნენ და მრავალ ადგილას ძველი დრო მოანატრეს. ამას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა მთავრობამ და საქმის მოსაგვარებლად არ უნდა მოერიდოს გადამჭრელ ნაბიჯების გადადგმას.

უდიდესი საკითხია აგრეთვე სასურსათო საქმე. ჩვენ ეხლა ევროპის კარების წინ ვდგევართ და ალბად მალე გაიღება კიდევაც იგი. ჩვენს საბუღლებმა მოგვეცემა უფრო უშუალო ურთიერთობა ვიქონიოთ ევროპის ერთა და სახელმწიფოებთან, ვიდრე აქამდე გვქონდა. თუ ზავის ჩამოგდება მოვახერხეთ (მის მნიშვნელობაზე ბევრი ზედმეტია), შავი ზღვა ჩვენთვის შედარებით გზა ხსნილი იქნება და ჩვენ შევსძლებთ ევროპიდან შემოვიტანოთ ის საქონელი, რომელიც აქ ცოტაოდენ სიიაფეს შექმნის და სურსათ-სანოვაგესაც ხელმისაწვდომად გახდის. „რაიკატულისათვის“, შეუგნებელ მასისათვის ეს იქნება უდიდესი სიკეთე, რომელიც კი მას დღევანდელ წარმოუდგენია. თუ ფუნა და უნარი გამოვიჩინეთ—ამის გაკეთება შეგვეძლება და ეს უდიდესი პლიუსი იქნება დამოუკიდებელ ამიერკავკასიის მთავრობისათვის. ამით ჩვენი თოხობისა—ის „ობი ვატულის“ ლოზუნგი. ვინც წყნარ და [illegible] ცხოვრებას დაამყარებს, ვინც პურს მისცემს—მასთან იქნება. იგი მოწყურებულია წესიერებას და ბრძოლის არც ხალისი აქვს, არც ძალა შესწევს [illegible] გამო. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ და მთელი ჩვენი ძალ-ღონით საამისოდ ვიღვწოთ.

მაშ ასე: ბრძოლა შინაურ და გარეშე ძალებთან, რომელნიც ჩვენს თავისუფლებას ემუქრებიან. გაცხოველებული რევოლიუციონური შემოქმედება, ადმინისტრაციის და საერთოდ მთავრობის ძლიერი აპარატის შექმნა—აი, მთავარი საკითხები. გაჩაღება ევროპასთან ურთიერთობისა და შემსუბუქება სასურსათო კრიზისისა—აი, რა გაგვამაგრებს და რა გაგვამტკიცებს.

ხოლო ყველა ამისათვის აუცილებელია თანხმობა ამიერკავკასიის ერებისა, მათი ხელი-ხელ ჩაკიდებული სიარული საერთო გზაზე. ამას მოითხოვს როგორც მთელის, აგრეთვე ცალ-ცალკე ერის ინტერესი. ვინც ამას ვერ ჰხედავს და ვერ ითვალისწინებს, იგი ბეცია და საკუთარის ხელით ითხრის საფლავს. ამ მხრით დიდი მუშაობა გვმართებს. კავეანტ კონსულეს! კონსულებს თავის დღეში არ უნდა ეძინოთ.

ქ. რაჭველიშვილი.

საღამოს დეპეშა

ტფილისი. 2 მაისი. საღამოს ცნობა (ანდონსანი). ოფიციალური, ოპერატიული ცნობა. ზღვის სანაპიროებზე და ყარსის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია.

მიმოსვლა. ჯულფა-ალექსანდროპოლ შუა მიმოსვლა აღდგენილია.

ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია შესდგა 6 წევრისა და 24 თანამშრომლისაგან.—გაემგზავრება ბათომში 5 მაისს.

ოფიციალური დეპეშები

1918 წლის 16 აპრილი 12 საათი.

ყარსის მიმართულებით 15 აპრილს ყიზილ-ჩანლანის დასავლეთით ქურთები გამოჩნდნენ, რომელნიც ჩვენს ნაწილებს ესროდნენ. 9 საათისათვის უკვე შემჩნეული იყო, რომ სოფ. პლოდოროდნოედან ყიზილ-ჩანლასაკენ ოსმალოთა პოლკის კომანდირმა ერთ-ერთ ჩვენს კომანდირს განუცხადა, რომ მას ნაბრძანები აქვს 15 აპრილის 12 საათისთვის ყიზილ-ჩანლანი აიღოს და რომის დაიცავს ამ სოფელს ქურთთა თავ-დასხმისაგან.

ერივნის მიმართულებით 14 აპრ. ოსმალოთა ნაწილებმა არტილერიით შეტევა დაიწყეს ჩვენს ჯარზე ჩინგილის და ქუჯანის გადასავალზე. ჩინგილის გადასავალიდან ჩვენი ჯარი თან და თან სოფ. ორგოვისა და არგაჯისაკენ გარეკეს, 15 აპრილს უკვე ახლად დამზადებული პოზიციები დაიკავა ჩვენმა ჯარმა იგდირის სამხრეთით. ამავე დროს სიმაღლეებიდან, დაშ-ბურუნის სამხრეთით რომ არის, ქურთთა დიდძალმა რაზმებმა შემოუტიეს ჩვენს ჯარს, რომელიც იგდირ-მარქარის შუა-გზას იფარავდა.

ქუჯანის გადასავლიდან გარეკილმა ჩვენმა ნაწილებმა 15 აპრილს შეტევა დაიწყეს და ისევ დაიკავეს ეს გადასავალი.

ერივნის რაზმის უფროსმა ხელმეორედ გამართა მოლაპარაკება ოსმალოებთან და განუცხადა, რომ უკვე მოხდა შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ კავკასიის არმიის მთელ ფრონტზე.

1918 წლის 17 აპრილი. 12 საათი.

ზღვის სანაპიროების მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია.

ყარსის მიმართულებით 16 აპრ. ჩვენმა ნაწილებმა თანახმად მიღებული განკარგულებისა მდ. არპაჩაის მარცხენა ნაპირას იწყეს გადასვლა.

ალექსანდროპოლის ციხის სიმაგრეები არპაჩაის მარჯვენა ნაპირას აფეთქებულია ჩვენ მიერ დატოვებული.

ერივნის მიმართულებით ოსმალოებმა დასტოვეს სოფელი ორგოვი.

შტილოვი.

რადიო-დეპეშები

ტფილისი. 1 მაისი. მიღებულია გერმანიის რადიო-სადგურიდან გერმანულ ენაზე. ოფიციალურად. 30 აპრილის დილის ცნობა. ფრონტზე არსებითი არა მომხდარა-რა.

— ოფიციალური ცნობა ვენიდან 30 აპრილს. სამხედრო მოქმედება დასავლეთ ფრონტზე განახლდა. მოხდა მოწინააღმდეგის რამდენიმე უშედეგო გამოსვლა.

სტამბოლი. (მიღებულია ოსმანის რადიო-სადგურიდან). 30 აპრ. ფრონტზე არსებითი არა მომხდარა-რა. გერმანია-ავსტრო-უნგრეთის ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. ფრონტზე ფლანდრიაში მოხდა ქვეითა ჯარის უმნიშვნელო შეტაკებანი. ფორმეზელის და გროხტელის ჩრდილოეთით ჩვენ ავიღეთ ადგილი (?). ლოკრთან, ფრანგების ძლიერი იერიშის შემდეგ, მოწინააღმდეგეთა ხაზმა წინ წაიწია. მოწინააღმდეგე მტკიცედ სდგას ლოკრში. მისი ცდა კვლავ განეგრძო წინსვლა უნაყოფოდ დამთავრდა. ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა მთელ დღეს კემელთან და მხოლოდ ბინდის ჩამოვარდნისას შესწყდა. დანარჩენ ფრონტზე სწარმოებდა საარტილერიო შეტაკებანი და მზვერავი რაზმების მოქმედებანი.

მაკედონიის ფრონტი. ვარდასა და დაირას შუა ძლიერ საარტილერიო შემზადების უმალ ჩვენ წინ წავსწიეთ ჩვენ საბრძოლო ხაზები.

ბერლინი. 30 აპრილი. საღამოს ცნობა. ფრონტზე ახალი არა მომხდარა-რა.

ოფიციალური ცნობა **ვენიდან.** არტილერიის მოქმედება სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე გრძელდება. მრავალრიცხოვანი ცდა მოწინააღმდეგისა იერიშების მოტანისა მისთვის უნაყოფო იყო.

ინგლისის რადიო-სადგური იუწყება 30 აპრილს. კომისიამ, ბრიტანეთის მთავრობისგან რომ დაინიშნა, ომის შემდეგ სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკის განმარტებისთვის, გამოაქვეყნა ანგარიში თავის მოქმედებისა. ანგარიში ურჩევს ზავის შეკვრის შემდეგ აკრძალულ იყოს საქონლის შემოზიდვა ეხლანდელ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებიდან 12 თვის განმავლობაში. თუ ეს აკრძალვა შემცირებული იქნება, ყველა ასეთი საქონელი უნდა განსაკუთრებულად დაიბეგროს. მოკავშირეთა შეერთებულმა კანტროლმა უნდა თვალი ადევნოს, რომ რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან საქონლის შემოზიდვით თავიანთი ქვეყნები უზრუნველყოფილიყვნენ. ამასთანავე საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ბრიტანიის იმპერიის და მოკავშირე ქვეყნების უპირატესობანი შეკვეთის დროს. [illegible] ეს უნდა შეეხებოდეს მარტო ამ მასალებს, რაიცა მუშავდება და იხმარება მოხსენებულ ქვეყნებში. კომისია აგრეთვე ურჩევს, რათა დაარსებული იყოს სპეციალური სამრეწველო საბჭო, რომელსაც მიზნად ექნება მეთვალყურეობა სამრეწველო წარმოებათა მუშაობის გადიდება და გაუმჯობესება.

მიღებულია **ცარსკოე სელოს** რადიო-სადგურიდან 30 აპრილს. მოსკოვის გაზეთებში დაიბეჭდა ასეთი განცხადება საფრანგეთის ელჩის ნიულანსისა: იაპონიის ჯარის გადმოსხმა ვლადივოსტოკში შედეგია ქვეყნის ხანგრძლივ არეულობისა და ამ ქალაქის სახიფათო მდგომარეობისა. ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო ინციდენტი, რომლის მიხედვით აუცილებელ საჭირო შეიქმნებოდა გარეშეთა ჩარევა უცხოელთა დასაცავად და უზრუნველსაყოფად. მრავალ თვეთა განმავლობაში ვლადივოსტოკიდან ჩვენგან მიღებული ცნობები გვიჩვენებდნენ სწორედ ანარქიას, რომელიც მუდმივ ემუქრება მოკავშირეთა ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებას. როდესაც საერთაშორისო შეთანხმება რომელიმე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით საზღვაო ქალაქებში უცხოელ კომერსანტებს იწვევს მთელი ქვეყნის სარფისთვის, მისი გამგენი უნდა მიჰხვდნენ, რომ ამით მათ ევალებათ საზოგადო წესიერების შენახვა და ქუჩის ექსცესებისგან დაცვა მათი სტუმრებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაინტერესებული პირნი მიმართავენ თავიანთ მთავრობას იმ დაცვისათვის, რომელსაც ადგილობრივი დასუსტებული მთავრობა ვერ აძლევს.

მაშინ სამხედრო ძალებს იმ თავდაცვის ნაწილის, რომლის ქვეშევრდომებს ძალას ატანენ, იძულებულნი არიან იკისრონ წესრიგის აღდგენა, და საჭიროც არის, რადგანაც ქვეყანას არ შეუძლიან არსებობა თუ იქ არ არის წესიერად მოწყობილი მთავრობა.

იაპონიის საკითხის ლიკვიდაცია მოხდება მხოლოდ იაპონიის მხრივ ვლადივოსტოკში, იმ შემთხვევაში თუ მთავრობის მოთხოვნილებანი, რომელზედაც მას სრული ნება აქვს, იქნება დაკმაყოფილებული. მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებს არ შეუძლიან გულგრილად უყურონ ავსტრიელების და გერმანელების გამარჯვებას. როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით, გამარჯვებას, რომელმაც ყოველივე საზღვარს გადავიდა და რომელიც მოსალოდნელი იყო ბრესტის მოლაპარაკების შემდეგ.

გერმანიის სახელმწიფოები სცდილობენ დაიმორჩილონ მთელი რუსეთი ეკონომიური მხრით. აგრეთვე ციმბირში თავიანთ ტყვეების დახმარებით დაარსონ საბალშვიკო ცენტრები. მოკავშირეები იმდენად რუსეთის ხალხის საწინააღმდეგოდ არ მოქმედობენ როგორც (წინადადება დამახინჯებული). მაგრამ თუ როდისმე მოკავშირეები იძულებულნი იქნებიან საომარი მოქმედება აღადგინონ, იმ შემთხვევაში ისინი გამოვლენ, როგორც მოკავშირეები, რომელნიც ჩაერევიან რუსეთის შინაგან საქმეებში, როგორც თავიანთი ინტერესებს აგრეთვე რუსეთის ინტერესებს დაიცავენ და იარაღით ხელში გერმანელების წინააღმდეგ გამოვლენ, რომ არ დაანებონ ევროპის აღმოსავლეთით გამარჯვება.

მე არა მაქვს არავითარი საბუთი (მოკავშირეების?) აზრის შესახებ, ამ საკითხზე, მაგრამ შემიძლია ვსთქვა, რომ რაც უნდა მოხდეს, თუ ციმბირში შეიარაღებული გამოსვლა იქნება, ეს გამოსვლა მხოლოდ მეგობრული ხასიათის იქნება.

ინგლისის რადიო. ატლანტის იქითა მხარეების პრესბიურო გადმოგვცემს ხმებს თითქოს სამთა კავშირში (რომელშიც შედიან იტალია, საფრანგეთი და ინგლისი) განხეთქილებაა. კლემანსო მოითხოვს ავსტრიის იტალიის ტრენტინო დაეთმოსო. ეს იმის ანგარიშში, რომ საფრანგეთმა ელზას-ლორენი უნდა მიიღოს.

ომის დეპეშები

უკრაინის რადიო. (ბერლინის ცნობა) ჩვენი ნაწილები წინსვლას განაგრძობენ. მტრის ბანდები სუსტ წინააღმდეგობას უწევენ. ყირიმში ჩვენ უბრძოლველად ავიღეთ ქალაქი თეოდოსია.

ვენა. 1 მაისი, ავსტრიის ცნობა. გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა.

ბერლინი. 1 მაისი. საღამოს ცნობა. ახალი ცნობები არ მოსულა.

პარიზი. 1 მაისი. საომარი ცნობა. დღე ღამის განმავლობაში საგულისხმო არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ მონტ-იდიეს ჩრდილოეთით ყუმბარების სროლა იყო, ფრანგმა ლეიტენანტმა გუერინმა 30 აპრილს მტრის მე-20 ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

აღმოსავლეთის არმია. 30 აპრილი. სერბიის ფრონტის ორსავე ნაპირზე სხვა და სხვა უბანში საარტილერიო ბრძოლაა. ბეტოლენტიკის რაიონში ბულგარებმა იერიში მოიტანეს რამდენჯერმე; ჩვენ ისინი მოვიგერიეთ. მდ. სარნას შესართავში ფრანგების რაზმებმა გაფანტეს მტრის ჯარის მრავალ ადგილას. ბულგარიის 2 ჰაეროპლანი ფრანგმა მფრინავებმა ჩამოაგდეს საჰაერო ბრძოლის დროს.

ტფილისი. 2 მაისი. „ანდონხანი“.

სტამბოლი. 1 მაისი. საომარი ცნობა.

პალესტინის ფრონტი, მდინარე სეგერიას დასავლეთით და თვითონ მდინარესთან ბრძოლა განახლდა. 30 აპრილს დილით ძლიერი ქვეითა და არტილერიის რაზმები ეცადნენ ხაზში შეჭრას სეგერიას დასავლეთით, მაგრამ ისინი უკუაქციეს. სეგერიის ჩრდილოეთით მტრის პატრულები ცდილობდნენ ხაზის გარღვევას, მაგრამ ჩვენ უკუვაქციეთ ცეცხლის საშუალებით.

კავკასიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი. 19 მაისი. გერმანია-ავსტრია—უნგრეთის ცნობა.

დასავლეთის ფრონტი ფლანდრიაში, ლოკრისა და ტრანომერის სექტორში მოქმედება ფალრისად გადიდდა. ფრონტის ახალი რაზმები ტყუილად სცდილობდნენ წინ წაწევას ტრანომერის მიმართულებით. სომის ორივე მხრით ჩვენი მზვერავები დაეცნენ მტრის რაზმებს ნეაშონის სამხრეთ-აღმოსავლეთით და უაზ-ენის არხის რაიონში ვარდონესთან, აქ 50 ტყვე წამოვიყვანეთ. დანარჩენს ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა,

აღმოსავლეთის ფრონტი (ფინლანდიის რაიონი) სასტიკ ბრძოლაში მტერი ჩვენი ხაზების გარღვევას სცდილობდა ტავასტეჰუსის ჩრდილო-აღმოსავლეთით, უკუვაქციეთ. ფინლანდიის ჯარმა აიღო ვიბორგის ციხე.

17 აპრილი „ანდონხანი“. რადიოგრამა ნაუენიდან მადრიდში ესპანურ ენაზე (...დასაწყისი არ მიგვიღია) გრძელდება გერმანელების შეტევა, რომელიც გასული თვის 21-ს დაიწყო. ფრანგების და ინგლისელების შეერთებული ძალები დამარცხებულია. შეტევის დღიდან 30.000 კაცი დავატყვევეთ. ინგლისელების და ფრანგების დანაკარგები მოკლულნი, დაჭრილნი და სამხედრო სურსათი აურაცხელია. ინგლისელების 59 დივიზიიდან, რომელიც საფრანგეთში მოქმედებდა, 20 აპრილამდის ბრძოლაში 51 დივიზია მონაწილეობდა. ინგლისის ჯარის მთავარსარდლის გენ. განკარგულებაშია ამ ჟამად არა უმეტეს 8 ხელუხლებელ დივიზიისა. ფრანგები, რომელნიც დახმარება უნდა გაეწიათ მოკავშირეებისათვის 100 კილომეტრიან ფრონტზე, იძულებული იყვნენ დიდძალი ჯარი გაეგზავნათ ჩრდილოეთით ფლამანდის ფრონტზე. გენერალ ფოკის არმიამ შეაჩერა განზრახული ოპერაცია, რადგან საფრანგეთის სასარდლო სამართველოს წყალობით იძულებული იყო შეემცირებინა ჯარი სხვა სექტორებზე და დიდძალი ჯარით დახმარებოდა ინგლისელებს.

ზავი უკრაინასა და რუსეთს შორის

მოსკოვი. 26 აპრილი. („ანდონხანი“). სახალხო კომისარების საბჭომ 26 აპრილს შემდეგი დეპეშა მიიღო უკრაინის მინისტრთა საბჭოსაგან: 1918 წლის, 17 აპრილი. კიევი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარების საბჭოს. „პასუხად თქვენი ნოტისა, რომელიც, 3 აპრილს არის გამოგზავნილი და ჩვენ 14 აპრილს მივიღეთ ოფიციალურად ჩვენი ელჩისაგან ბერლინში, მინისტრთა საბჭო გაუწყებსთ, რომ სმოლენსკი მისი [illegible] ცალკეების გამო, არ არის მოსახერხებელი მოლაპარაკებისათვის და ასეთ პუნქტად უმჯობესი იქნებოდა კურსკი. ჩვენი დელეგაცია 21 აპრილს მოვა. ამასთანავე ერთად უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო წინადადებას გაძლევსთ: 1) შესწყდეს ყოველგვარი უკანონო ძალადობა, რომელსაც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკრაინელებზე ხმარობენ, 2) ის პირები, რომელნიც ჩვენი კოლონიების მიერ არიან არჩეული და მათი ნდობით სარგებლობენ, ჩაითვალონ ჩვენი მთავრობის დროებით წარმომადგენლებად კონსულების უფლება-მოვალეობით და ყოველმხრივ შეეწყოს მათ ხელი. ამგვარ პირებათ ჩაითვალოს პეტროგრადის უკრაინელ მოქალაქეთა კომიტეტის თავმჯდომარე და მოსკოვის უკრაინული კოლონიის საბჭოს თავმჯდომარე. 3) არ შეაფერხონ უკრაინაში დაბრუნება იმ პირებისა, რომელნიც უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებად სთვლიან თავის თავს, ყოველნაირად შეეწყოს მათ ხელი და უკრაინული კოლონიების თხოვნით სპეციალური მატარებლები და ცალკე ვაგონები მიეცეს. 4) არ შეაფერხონ უკრაინულ გაზეთებისა და წიგნების თავისუფალი გამოსვლა და არ შეზღუდონ წიგნების ვაჭრობის თავისუფლება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დელეგაციების პირდაპირი კავშირისათვის თავის მთავრობებთან აუცილებლად საჭიროა კურსკის შეერთება კიევსა და მოსკოვთან იუზის აპარატით. კურსკ კიევთან უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა შეაერთებს თავისი ხარჯით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგე ლიუბინსკი.

დეპარტამენტის დირექტორი ლოზინსკი.

ამ ნოტის მიღებისთანავე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა შემდეგი პასუხი გაუგზავნა რადიოთი:

„1918 წლის 17 აპრილის თქვენი ნოტის საპასუხოდ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი რუსეთის ფედერალური რესპუბლიკის სახელით თანხმობას აცხადებს, რომ საზავო მოლაპარაკება დაიწყოს კურსკში 1918 წლის 28 აპრილს. ამ დროისთვის ჩვენი

ჰიმნები მზისადმი

ა

შანთიადი

მოჰქროლავს ეტლი, სხივთ ალვირით ღრუბლების რაშებს,
ოდნავ ძქავებს პირგავსილი ტრიუმფატორი.
სხივის შურდული მთის ნაოჭზე შეითამაშებს
და მიწის შვილებს ავიწყდება „მემენტო მორი“!
მზისკენ აუშვებს დედამიწა სურვილთა ქორებს,
მზისკენ იწევა ყვავილების თვალის ქუთუთო.
მკერდ-აკოკრებულ ქალწულ ქალებს მზეზე აზმორებს.
„ნეტარო წუთო, გაზაფხულის ნეტარო წუთო!
ხარობს, ზეიმობს ენერგია ჰასაკოვანი,
სოროსა სტოვებს მზეზე გადის ქვეწარმავალი,
უკრავს ორკესტრი სირთა გუნდის კეთილხმოვანი,
ვარვარებს თვალი ცის დისკოზე მსოფლიოს თვალი,
ჩუხჩუხებს, როკავს თფილი სისხლი არტერიებში,
აეხსნა მიწას იეჰოვას დათქმული წყევა,
ახუილდება ნიავლვარი ჯანყიან მთებში,
მოდით და ნახეთ გარდუვალის უკუ მოქცევა!

ბ

დიადი შუადღე.

დღეს ქორწილია არაბეთის დედოფალისა,
იფრქვევა წვიმა, სხივთა წვიმა ოქროთ ნაფერი.
ეს ღიმილია შეყვარებულ მეფის ქალისა,
მინდვრად გაჰფინეს ნოხ-ფარდაგი რაგინდ რაფერი.
მოდის მზე სიძე, გამოივლის და გაგვიღიმებს;
ბრუნდება ქვეყნად მეფის ვაჟი გადაკარგული
ყვავილთ წამწამით ტკბილი ცრემლი გადმოიწვიმებს,
ამოისუნთქავს ვარდის ბაღი მკერდ მოქარგული.
ახმაურდება მიწის გულში მუსიკა ნელი,
ზამთრის ღამეში სანახევროდ მივიწყებული,
სთესავს სინათლეს შემომქმედის მზრუნველი ხელი
კარავს რო გაშლის ცაზე მეფე მირონცხებული.
მიწა—დედოფალს, მზე—სასიძო წელს მოეხვევა.
მოდით და ნახეთ გარდუვალის უკუ მოქცევა.

გ

მწუხრი

როცა პლანეტი ზეციერი უფსკრულში ჩადის.
ოქროს თითებით დაუვარცხნის ფაფარს ნორჩ ტყეებს.
მითხარი, ვამბობ: მოგზაურო ჰეი, „ქვო ვადის“?..
სად მიჰყვები ფრთადახრილი გარდაცვლილ დღეებს?
დასაბამისა დასაბამი—მსოფლიოს სული;
ცხრა თვალა ლომი თუ ჰყოფილხარ ოქროს ფრთიანი,
ან მზის უმზირა ინდოეთის ველად მოსული,
რომელ ზღვის გულში გაათენე ღამე გვიანი?
ოკეანის ნელი სუნთქვა თან მოგვიტანე,
ცეცხლის გომბორი მოლაპლაპე ნახე საჰარა,
გვირგვინოსანი ჰიმალაი ყინვის ტიტანი,
არეზის ტალღამ გურგენისკენ რა დაგაბარა?
ნილოსის პირად არ გინახავს პირ მობურული
მდუმარე სფინქსი საუკუნეთ მუნჯი მოწამე!
ირანის ვაკეს გადუარე ფრთა დაწურული
სად შეგეყარა მოგზაურო ზამთრისა ღამე?
ხომ ნახე ჰელლა დაჩრდილული, მზე გადასული,
აპოლოს მშვილდი სხივთ კაპარჭი აწ დამსხვრეული.
ან კინდოსელი საბანოდ ზღვაში გასული,
მტვერ გადაყრილი პერგამენტი—პლატოს რვეული?
მიდიხარ მგზავრო, შენ ცეცხლის ეტლს ვინ მოეწევა?
ჰომერის ქვეყნად თუ წაიღებ სალამს შორეულს,
მშვიდობით მზეო, ვერ გამორევ თვალს ცრემლ მორეულს,
კურთხეულ იყოს გარდუვალის უკუ მოქცევა!.

შეკვეთილი. 1918 წ.
აპრილის 9.

კოწია გამსახურდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის წარმომადგენლები კურსკში ჩამოვლენ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ჩიჩერინი.**

მთავრობის სხდომა

17 აპრილს, მოსმენილ იქმნა თერგის სახალხო საბჭოს დეპეშა იმის შესახებ, რომ თერგის მხარეს არა სურს ამიერკავკასიის პოლიტიკაში მონაწილეობა.

მთავრობამ დაადგინა: განუცხადოს თერგის სახალხო საბჭოს, რომ ამიერკავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკას არა აქვს განზრახული თავის ტერიტორიას რაიმე ოლქები შეუერთოს, ხოლო თუ დაღესტანის და თერგის მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლები განაცხადებენ შემოერთების სურვილს ფედერატიულ საფუძველზე, მთავრობა მიესალმება ამ სურვილს.

ამის შესახებ განზრახული არ არის მოლაპარაკება ოსმალეთთან.

საზავო დელეგაცია

ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის გამგზავრების დღის შესახებ მთავრობამ დაადგინა აცნობოს ოსმალეთის მთავრობას, რომ რესპუბლიკის საზავო დელეგაცია მზადაა ყოველ საათში გაემგზავროს. მაგრამ რადგანაც საჭიროა მთავრობის წევრების დარჩენა სატახტო ქალაქში ეხლა, როდესაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა სწარმოებს, ეთხოვოს ვეჰიბ-ფაშას შეგვატყობინოს, როდის მოვლენ ბათომში ოსმალეთის წარმომადგენლები. მთავრობამ დაადგინა ტფილისიდან ბათომში გამგზავრების უზრუნველყოფად ეთხოვოს ვეჰიბ-ფაშას აღდგენილ იქმნეს რკინის გზის ლიანდაგი ბათომთან ბრძოლის ველზე.

ბონები

გუშინ სეიმმა დაადგინა ფინანსთა მინისტრს ნება მისცეს 200 მილიონი მანეთის ბონები კიდევ გამოსცეს.

1 მაისობა ტფილისში

ნაკლებ ზეიმით ჩაიარა მუშათა დღესასწაულმა. ნაკლები ხალისიანობა სჩანდა ამ ზეიმის მონაწილეთა მთელ მოქმედებაში. თითქოს საჭიროა დღესასწაულის აღნიშვნა, თორემ საამისოდ ვისა სცალიანო, ასეთი იყო შთაბეჭდილება. აუარებელ წითელ დროშებს შედარებით მცირე რაზმი ახლდა თან. სახაზინო თეატრის წინ რომ მიტინგი იყო გამართული, გოლოვინის პროსპექტზე ჩვეულებრივ სეირნობდნენ. თითქოს ამ მოსეირნეთ არაფერი აქვთ საერთო იმ ხალხთან, შუა ქუჩაზე რომ იდგნენ, და ინტერესით სავსენი რომ იდგნენ, უსმენდნენ ყოველ ორატორს. სულ სხვა იყო შარშან. მაშინ მთელი გოლოვინის პროსპექტი ხალხით იყო შედედებული. ყველა იღებდა მონაწილეობას, ყველა მხიარულობდა. დღეს კი ყოველ-დღიურ ცხოვრების სურათს მხოლოდ სახაზინო თეატრის წინ თავმოყრილი ხალხი არღვევდა. მიზეზს ხომ აქვს ხალხის ასეთ საქციელს. უპირი მოქალაქე ერთგვარ უსასოობას განიცდის, იგი იმედ-დაკარგულია, გულ-გატეხილი, და იგი პურის გაიაფებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე თავისუფლების გადარჩენას. მიტომაც გუშინ, დღესასწაულში მხოლოდ აქტიური მუშები იღებდნენ მონაწილეობს, პარტიების ძველი წევრები, ტანჯვის სკოლა-გავლილები, ნაწრთობნი. საყველ-პურო ხალხი კი განზე იდგა, და ერთგვარი ირონიითაც კი უცქეროდა მედროშეებს. ასეა ხშირად: ირონიას იშველიებს მხოლოდ პასიური, თვით-უქნარა, შიმქმედ ადამიანთა მიმართ.

სხვა სოციალისტურ პარტიებთან ერთად ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას, დილის ათი საათიდან იწყეს დენა ამხანაგებმა პარტიის კლუბში. 12 საათზე პროცესია შემდგარი იყო. საერთო ნაკლი ჩვენც დაგვეტყო. წარსულ წელთან შედარებით, ჩვენი პროცესიაც ნაკლებ რიცხოვანი იყო. პროცესიის წინ მწყობრად ჩადგა ჩვენი პარტიზანული რაზმი, შეიარაღებული. კლუბის აივნიდან თავმოყრილ ხალხს სიტყვით მიმართა ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილმა. შემდეგ პროცესია დაიძრა, და ერევნის მოედნით გაემართა სახაზინო თეატრისკენ. რაზმი მღეროდა სარევოლიუციო და ეროვნულ სიმღერებს. სახაზინო თეატრის წინ უკვე მიტინგი იყო გამართული ჩვენ რომ მივედით. ილაპარაკეს კაკი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ, გეგეჭკორმა და სხვა. ილაპარაკეს სხვა და სხვა პარტიათა წარმომადგენლებმა. ჩვენი პარტიის სახელით სახაზინო თეატრის წინ ილაპარაკეს ამხ. შ. მესხიშვილმა და ოსიკო ბარათაშვილმა. შემდეგ მიტინგი გადმოტანილ იქმნა სასახლის წინ. იქ ილაპარაკა სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ ჩვენი პარტიის სახელით აკაკი პაპავამ და სხ. შემდეგ ჩვენმა რაზმმა კვლავ შემოსძახა ქართული საომარი სიმღერა, და ჩვენი პროცესია გაემართა სასახლის ქუჩისკენ. „სახალხო საქმის“ რედაქციის წინ პროცესია შეჩერდა. აქ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილმა, რომელმაც არჩილ ჯორჯაძის აზრთა გამარჯვება მოაგონა ხალხს. არჩილის ხსენებაზე ხალხმა ქუდი მოიხადა, და მოწიწების პატივი სცა ძვირფას მასწავლებლის ლამაზ ხსოვნას. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პ. ფანჩულიძემ. პროცესია კვლავ სიმღერით გამოემართა ერევნის მოედნისაკენ და მივიდა ისევ პარტიულ კლუბთან. პროცესია დაიშალა.

საღამოს 8 საათზე, პარტიულ კლუბში გაიმართა კრება, პირველ მაისობის აღსანიშნავად. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ოსიკო ბარათაშვილი. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილმა, გიორგი სულთანიშვილმა, ქრისტეფორე რაჭველიშვილმა და ბესო ქელბაქიანმა. სამწუხაროდ გაზეთში გამოცხადებული უფროსი ამხანაგები კრებას არ დაესწრნენ. ასე ჩაიარა მუშათა დღესასწაულმა.

ახალი ამბავი

◆ **საზავო დელეგაცია.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობების მიხედვით ოსმალეთის საზავო დელეგაციის შემადგენლობაში რამოდენიმე ცვლილება მოხდება: რაუფ-ბეის მაგივრად დელეგაციის თავმჯდომარედ იქნება ოსმალეთის ფრონტის მთავარსარდალი ფერიკ-ვეჰიბ მეჰმედ ფაშა; დელეგაციის წევრებად არიან სხვათა შორის საზღვაო და იუსტიციის მინისტრი ხალილ ბეი, რომელიც დროებით, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას ასრულებს, ტრაპიზონის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ხუსრუფ-ბეი ეხლა იგი დელეგაციაში აღარ იქნება

ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია გუშინ იქმნა არჩეული. თავმჯდომარედ იქნება მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი.

◆ **გაძარცვა.** 15 აპრილს, დიდი-მთავრის ქუჩაზე მიმავალ მილიციონერს კახეთელიძეს თავს დაესხნენ ქართული პოლკის ჯარისკაცები, წაართვეს რევოლვერი, ნაგანის სისტემის 7 პატრონით, 100 მან. ფულად, სცემეს და მიიმალნენ.

◆ **დასჯა ქურდობისათვის.** 17 აპრილს ელისაბედის ქუჩაზე, დოლის მინდორზე საავიაციო ნაწილის ჯარისკაცმა ი. სამადუროვმა მოჰკლა ჯარისკაცი ი. კოროლევი, რომელსაც ვინტოვკა მოეპარა.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა შეიპყრო:** ყაზახი დიმიტრიევი ნებადაურთველად იარაღის ტარებისათვის; ჯარისკაცი სარქისიანცი წითელ რაზმელის ცემისათვის.

◆ **ერევნის ფრონტზე.** ოტომანურ მთავრობის ბრძანებით, ოსმალეთის შეიარაღებული ძალები საზღვრისკენ დასწიეს.

◆ **ქუთაისიდან.** 16 აპრილს ქუთაისის მიტროპოლიტი ანტონი იუწყება, რომ ქუთაისში მრავალი ლტოლვილია, ბათომის ოლქიდან, ოზურგეთიდან და ფოთიდან ლტოლვილები სხვა და სხვა სახლებში მოათავსეს, აგრეთვე ეპარქიულ სასწავლებელში. არსდება ლტოლვილთა კომიტეტი. მიტროპოლიტი მოითხოვს დახმარებას ფულით.

◆ **მილიციის უფროსმა დააპატიმრა:** ან. დიცკი და მარიამ შაპოვალოვა, როგორც მავნე პირები. ის. კერვალიშვილი და პ. ძაძამურია უბილეთოდ ღორის ხორცის გაყიდვისათვის.

◆ **ჯალალ-ოღლი.** 16 აპრილს ს. თუმანიანი ამიერკავკასიის მთავრობას დეპეშით აუწყებს: „ბამბაკის რაიონის დაზარალებულ თათრებს სჭირიათ დახმარება. თუმცა დაუბრუნეს ყველა გაძარცული ქონება.

◆ **სახაზინო თეატრის კომისარმა** შუამდგომლობა აღძრა ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე, სახაზინო თეატრში ზოგი ცვლილების შეტანის შესახებ, თეატრის შემოსავლის გასადიდებლად. განზრახულია თეატრის ჩრდილოეთ სკვერში გაიმართოს „კაფე“.

◆ **ამ.-კავკ. დამოუკიდებლობის გარშემო.** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო ქუთაისიდან: „სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრთა მრავალრიცხოვანმა კრებამ განიხილა დღევანდელი მომენტი ამიერკავკასიაში—და კერძოდ საქართველოში—დამყარებული მდგომარეობა და დაადგინა ეცნობოს პრემიერ-მინისტრს ჩხენკელს ერთსულოვანი თანაგრძნობა, რომელსაც უცხადებს კრება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აქტს და თავის რწმენას გამოსთქვამს, რომ აუცილებლად საჭიროა მთავრობის დეკლარაციაში მოხსენებულ ზომების ცხოვრებაში სწრაფად გატარება და პირველ რიგში ეროვნული ტერიტორიების გამიჯვნა მთავრობისა და ეროვნული საბჭოების თანამშრომლობით; აუცილებლად საჭიროა აგრეთვე, რომ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავის გამგებლობაში მიიღოს საქართველოს შინაური საქმეები ეროვნულ დამფ. კრების მოწვევამდე.

კრების თავმჯდომარე ბაქრაძე.

◆ **შრომის კომისარიატი აუწყებს** სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ და პროფესიულ კავშირებს, რომ პარასკევი და შაბათი ვნების კვირისა უქმე დღეებად ითვლება თანახმად 8 ს. სამუშაო დღის დეკრეტის მე-20 მუხლისა. შრომის კომისარიატი ამასთანავე აცხადებს, რომ პროფეს. კავშირებთან შეთანხმებით ამ დღეებში შეიძლება მუშაობა, თუ საპატიო მოსაზრებები იქნება მოყვანილი, ხოლო მუშებს ორეული ჯილდო მიეცემათ.

◆ **არმავირში ვერაგულად დახვრეტილთა შესახებ.** როგორც ვლადიკავკავიდან ატყობინებენ ერ. საბჭოს, არმავირში ვერაგულად დახვრეტილთა გადმოსვენება ცოტა ხნით შეფერხებულა. დაწვრილებითი ცნობები შემდეგში იქნება გამოცხადებული.

◆ **სეიმმა,** თანახმად აგრარულ კომისიის დასკვნისა, 2 მაისის სხდომაზე დაადგინა ის მიწა-მამული, რომელსაც კი საზოგადოებრივი ინტერესი აქვს, აგრეთვე ის ადგილები, სადაც კი დაცულია საისტორიო საარქეოლოგიო მნიშვნელობის ნაშენნი (ეკლესია მონასტრები, კოშკები, ციხენი, ძეგლები, ნაქალაქევი ძეგლები და სხ.) შეუხებელნი დარჩნენ ნორმის გამიჯვნის დროს.

◆ **ეროვნულ საბჭოში** შაბათს 7 აპრილს საღამოს 6 საათზე, ეროვნული საბჭოს დარბაზში შესდგა განათლების სექციის თავმჯდომარის ამხანაგის ვარლამ ბურჯანაძის მოწვევით მასწავლებელთა კრება. კრებამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა დაეხმარონ ქართველი მასწავლებლები თვით-დაცვის ფონდის გადიდებაში. აირჩიეს კომისია რომელმაც უნდა მოაწყოს აღდგომის მესამე და მეოთხე დღეს ყულაბებით ფულის შეკრება. კომისიაში შედიან შემდეგი პირები ქ. ა. მ. წერეთლისა, ეფ მეხი, პ. სოსოჯიშვილი, ს. კალანდარიშვილი ნ. ნაკაშიძე ი. ხედგინიძე, გ. ინაიშვილი, ნ გაბაშვილისა ლ. ჩიმაკაძე. კომისიამ უკვე გადასწყვიტა ფულის შეგროვება ყულაბებით. ფულის შეგროვებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მასწავლებლები ისე მოწაფეები ტფილისის ყველა ქართული სასწავლებლისა.

◆ **„პრომეთეს“ მესამე ნომერი.** სააღდგომოდ ტფილისში გამოვა ჟურნალ პრომეთეს მესამე ნომერი შემდეგის შინაარსით: 1. აკაკი პაპავა—„სოლეიდორო“, 2. ი. გრიშაშვილი—ლექსი, 3. კ. გამსახურდია—ორი სონეტი— 1) გოთფ ცეპელინს, 2) ემილ ვერჰარენს, 4. ვ. ბარნოვი—ძმრის მწვერვალზე, 5. კ. ჭიჭინაძე—ნარზანის სამეფოში, 6. აბულადიანი—რიგველა ჰაინი, 7. ს. წევილი—თალიკო, 8. ე. თაყაიშვილი—ოყურეშის ეკლესია. 9. დ. უზნაძე—ორგანიული მსოფლმხედველობა, 10. ვარლ. ჩერქეზიშვილი—საქართველოს პეტიცია ჰააგის კონფერენციისადმი 1907 წ.

◆ **21 მილიონი რკინის გზას.** სეიმმა გადასდო ამიერკავკასიის რკინის გზის ხარჯების დასაფარავად 20 მილიონი მანეთი, ხოლო გზათა გამგებლობის ერთი მილიონი, სულ 21 მილიონი მანეთი. გ. გვაზავას შუამდგომლობა კახეთის რკინის გზასაც მიეცეს ამ ფულიდან დახმარება კომისიამ არ შეიწყნარა და ამიტომ [illegible] გვაზავამვე მოხსნა თავისი წინადადება.

◆ **სეიმის გარშემო.** უქმეებში სეიმის სესია არ შესწყდება.

ბრძოლაში

12 აპრილი.

დილით ჩვენი პარლამენტიორები დაბრუნდნენ. მათ თან მოჰყვნენ ერთი ოსმალო ოფიცერი, ერთი აჭარელი და ორიც ასკერი. ოფიცერი ჩინით კაპიტანი იყო. მათ წინ შეხვდა პოლკოვნიკი. მივიპატიჟეთ იქვე დიდ მუხის ძირას, რომელიც იქვე გორაკზე, წყლის პირას არის ამართული. ოსმალოს კაპიტანმა მოგვმართა გერმანულად „გერმანულ ენაზე თუ ლაპარაკობთო“ უპასუხე, ძლიერ ცუდად ვლაპარაკობო.

შემდეგ შევეკითხე ფრანგულად, რადგან ფრანგული უკეთ ვიცოდი. მიპასუხა, ცოტა ვიცი ფრანგულიო. ცუდის ფრანგულით დავიწყეთ საუბარი.

ოსმალოს ოფიცერმა პოლკოვნიკს გადასცა პაკეტი ოსმალურ ენაზე დაწერილი, რომელიც შემდეგ გადავათარგმნინე ქართულად იქვე მყოფ აჭარელის დახმარებით. ბარათში აღნიშნული იყო რომ მიიღეს ჩვენი წერილი დროებითი ზავის შესახებ ესვე აცნობა მათ მათმა ფაშამ.

შემდეგ პოლკოვნიკმა უთხრა, რომ ჩვენ ბრძანების თანახმად დღეიდან არც ერთ თოფს არ გავისვრით. ამაზე ოსმალო ოფიცერმა სთქვა, რომ არც ჩვენი მხრიდან იქნება გასროლილი ტყვიაო.

შემდეგ ის დაგვემშვიდობა და თეთრი დროშით გავიდა წყალ-გაღმა თავის ბანაკში.

არ გაუვლია 10 წუთს, რომ მეორე მხრიდანაც მოვიდა ერთი ოსმალო ოფიცერი ქობულეთელის თანხლებით თეთრი დროშით ხელში და სთხოვა პოლკოვნიკს რათა გაეგზავნა ოსმალოს ჯარის უფროსთან მოსალაპარაკებლად პარლამენტიორები. პოლკოვნიკმა უთხრა გაიგზავნითო.

მათ თანხლებით გაგვგზავნეს მე და ჩვენი კომანდირი შევსხედით ცხენებზე. წინ გაგვიძღვა ოსმალო ოფიცერი და ქობულეთელი თეთრი დროშით და გავსწიეთ ოსმალების ბანაკებისაკენ.

გზაზე ჩემი ცხენი წააწყდა ერთ მოკლულ ოსმალოს გვამს. უნებურად შევკრთი. მაგრამ შემდეგ მეც და ჩემი ცხენიც მალე შევეჩვიეთ ასეთ სურათებს, რადგან გზაში ბევრი აღმოჩნდა გუშინდელ ბრძოლაში დახოცილი ოსმალთა გვამები, ზოგან ერივნენ ჩვენებიც.

მოვაღწიეთ ოსმალების სადგომს აქ-

საქართველოს ეკონომიკა და დემოკრატიის პოლიტიკა

3.

პროტექციონიზმი და სოციალ-დემოკრატია

სოციალ დემოკრატია მეოცე საუკუნემდე ეროვნულ საკითხში კოსმოპოლიტიზმს ქადაგებდა. ამ ქადაგებისაგან ეკონომიური პოლიტიკის საკითხიც იყო გადაჭრილი. სოციალ-დემოკრატია **ეკონომიურ კოსმოპოლიტიზმის გზას** ადგა. ლასალისა და მარქსის სკოლისათვის ეკონომიურ მეცნიერებაში მუშათა საკითხი პესიმიზმის ფორმულაში იყო ჩაჭედილი. „რკინის კანონის“ თეორია ამტკიცებდა, რომ ეროვნულ სიმდიდრის გაზრდა მოასწავებს მუშათა მდგომარეობის გაუარესებას და აქედან ცხადია, სოციალ-**დემოკრატია** ეროვნულ ეკონომიკის და მრეწველობის გაზრდაში ვერ დაინახავდა მუშის ხელფასის და შემოსავლის გაზრდას. ამ სკოლისათვის ეკონომიური პოლიტიკა უნდა გადაქცეულიყო მსოფლიოს პროლეტარიატის პოლიტიკურ პრობლემად და ბარიკადების შენებაში აღმოჩინა მუშათა კლასს აღთქმის ქვეყანა.

ამ პრიმიტიულ შემეცნების მსხვერპლი იყო სოციალ-დემოკრატია დიდხანს და ჩვენი, ქართველი სოციალ-დემოკრატიაც ამ პრიმიტიულ შემეცნებით შეიარაღებული შემოვიდა ქართულს პრესაში. ეროვნული კოსმოპოლიტიზმი, ეკონომიური კოსმოპოლიტიზმი, თავისუფალი ლევიაფანი—სახელმწიფო, თავისუფალი ვაჭრობა—აი რა დიდი, ლამაზი სიტყვები ეკერა სოციალ-დემოკრატიას პირზე.

დღეს ყველა ხედავს, რომ ლამაზი ლაპარაკი და სიტყვა კიდევ არ ნიშნავს ცხოვრების გალამაზებას. თავისუფალ რესპუბლიკის და თავისუფალ ეკონომიკის ქადაგებაში გამოჰქონდა ეროვნული მონობა და მრავალ სახელმწიფოს ერის ეკონომიკის მოსპობით, მუშათა კლასის გალატაკებაც. ეროვნულ შემეცნების ადამიანისათვის აშკარა იყო, რომ ეკონომიური კოსმოპოლიტიზმის ქადაგება ისევე დამღუპველია მუშა ხალხისათვის, როგორც გამოდგა ეროვნულ კოსმოპოლიტიზმის ქადაგება. ეს გაიგო მეოცე საუკუნის პირველ წლებში არ. ჯორჯაძემ და გადაჭრით მოითხოვა ეკონომიური ნაციონალიზმის, ესე იგი პედაგოგიურ პროტექციონიზმის შემოღება ქართულ სახელმწიფოებრივ უფლების აღდგენის ნიადაგზე. მაშინ ჯორჯაძე სოციალ-დემოკრატებმა ჯვარზე აცვეს, ისეთი დემაგოგიური კორიანტელი დადგა საზოგადოებაში, [illegible] ჯორჯაძის გამართლებას თავისი ამხანაგებიც ვერ ახერხებდნენ. ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტებიც გატაცებულნი იყვნენ მარქსისტულ ეკონომიკით; კოსმოპოლიტიზმისაგან არც ამათ დაიღწიათ თავი.

საბედნიეროდ ეს ხანა განვლეთ. სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა რომ დაიმსხვრა ეროვნულ საკითხში, დაიფუშა მათი ეკონომიური პოლიტიკაც. ნურავის ჰგონია, რომ ეროვნული საკითხი მარტო პოლიტიკური საკითხია და მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ კულტურული პოლიტიკურ ფორმების გამოძებნით. არა, ეროვნული საკითხი უმთავრესად ეკონომიური საკითხია, ნაციონალური ეკონომიკის პრობლემაა და თუ ეკონომიური ნაციონალიზმი არ განავითარეთ, პოლიტიკური ნაციონალიზმიც მოისპობა.

ეკონომიური ნაციონალიზმი აუცილებელი ნიადაგია პოლიტიკურ-ეროვნულ თავისუფლებისათვის. **დედამიწის ზურგზე არც ერთი ერი არ აღორძინებულა ეკონომიურ ნაციონალიზმის, პედაგოგიურ პროტექციონიზმის გარეშე.** ეკონომიურ თავისუფლების, ესე იგი თავისუფალ ვაჭრობის ხანაში ამერიკა მონა იყო ინგლისის. ამერიკელების აჯანყებამ ინგლისის წინააღმდეგ გამოიწვია ამერიკის ეროვნული განთავისუფლება და ეს იყო ამავე დროს ეკონომიურ ნაციონალიზმის, პროტექციონიზმის გამოცხადების აქტიც. ინგლისი განვითარდა კრომველის პროტექციონიზმით, საფრანგეთი ძლიერდებოდა კოლბერის პროტექციონიზმით, გერმანია აღსდგა ლისტის პროტექციონიზმის განხორციელებით, ხოლო რუსეთი სულს იდგამდა პეტრე დიდის პროტექციონიზმით. ქართველ მეფეების პოლიტიკა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნოებში გამსჭვალული იყო პროტექციონიზმით, ერეკლე მე II პროტექციონიზმის გზას ადგა, ხოლო საერთოდ—კანონია: ეკონომიურად უძლური ერი მხოლოდ ეკონომიურ ნაციონალიზმით, პედაგოგიურ პროტექციონიზმით შეიძლება აღსდგეს. ვისთვისაც სადავო არ არის საჭიროება ეროვნული ეკონომიკისა, მისთვის არც ეკონომიური ნაციონალიზმი იქნება სადავო. პროტექციონიზმის მოწინააღმდეგე მხოლოდ მაშინ არის მართალი, როცა ის საზოგადოდ ეწინააღმდეგება ნაციონალიზმს და ნაციონალურ ეკონომიკას. **არ არსებობს არც ერთი ეროვნული მოღვაწე დაჩაგრულ ერისა ეკონომიურ კოსმოპოლიტიზმის დამცველი.**

აი ეხლა, როცა ამასა ვსწერთ—დარწმუნებული ვართ—რომ ბევრი მოიპოვება ჩვენს საზოგადოებაში ისეთი, რომელსაც ჰგონია, რომ სოციალიზმის და პროტექციონიზმის ერთობა შეუძლებელიაო. მაგრამ ჯერ უნდა ვსთქვათ: ვინც ფიქრობს, რომ თავისუფალ ვაჭრობის ქადაგება სოციალისტური ქადაგებაა—მას ეკონომიურ მეცნიერების იმდენი გაეგება, რამდენიც თუთიყუშს ადამიანის ლაპარაკისა. კოსმოპოლიტურ სოციალიზმისათვის ეკონომიური კოსმოპოლიტიზმი, ესე იგი თავისუფალ ვაჭრობის სისტემა ბუნებრივ აზრის ქადაგებაა, მაგრამ ეროვნულ სოციალიზმისათვის ეკონომიური კოსმოპოლიტიზმი მონობა და უბედურობაა. **როგორც კოსმოპოლიტური სოციალიზმი გაბატონებულ ერის პროლეტარიატის ფილოსოფიაა, ისევე ეროვნული სოციალიზმი არის ფილოსოფია დაჩაგრულ ერის პროლეტარიატისათვის.** პირველი კოსმოპოლიტია ეკონომიკაში, მეორე ეკონომიკაშიც ნაციონალისტია.

საზოგადოდ, ეკონომიური პოლიტიკის საკითხი უმთავრესად **მომენტის,** კონკრეტიულ მდგომარეობის საკითხია. ეკონომიკაში დოგმატიზმი და პრინციპიალური ფეტიშიზმი აბსურდია და ჩვენ კი მთელი სისტემა ეკონომიურ პოლიტიკისა ფეტიშად, დოგმატად გვაქვს დასახული. არც ერთი ეკონომიური პოლიტიკა არ არის სოციალიზმის საკითხი, თუმცა ამა თუ იმ ეკონომიურ პოლიტიკას შეუძლია სოციალიზმს გზა გაუხსნას. საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების პირობებში ერთად ერთი სოციალისტური პოლიტიკა ნაციონალურ ეკონომიზმის პოლიტიკაა, პროტექციონიზმია. თავისუფალ ვაჭრობის პოლიტიკის ქადაგება ქართველობის მონობის მომასწავებელია და მტკიცე რეაქციონური პოლიტიკაა.

მეცხრამეტე საუკუნე საქართველოსათვის თავისუფალ ვაჭრობის საუკუნეა და ეს არის საუკუნე საქართველოს ეკონომიკის დაცემის და გაპარტახების. დღემდე ჩვენში თავისუფალ ვაჭრობას ანვითარებდა ჩვენი თვითმპყრობელობა, და თუ ამიერიდან სოციალ-დემოკრატია დაადგა თვითმპყრობელობის გზას,—ეფექტი ასეთნაირი იქნება: საქართველო დაკნინდება დემოკრატიის ხელში.

ბუნება თავისუფალ ვაჭრობის პოლიტიკისა დღევანდელ პირობებში არის ბურჟუაზიული ბუნება. სოციალისტებს კი არ შეუმუშავებიათ თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკა—[illegible] ბურჟუაზიის და მეფეების ქვეყნებს. თავისუფალ ვაჭრობას ქადაგებდნენ ისეთი რეაქციონური, ლიბერალური და არხი-ბურჟუაზიული მწერლები, როგორც იყვნენ ქენე, სმიტი, რიკარდო, ბასტია, კობდენი და სხ. გაბატონებულ ბურჟუაზიის ოცნებაა—თავისუფალი ვაჭრობა.

ქართველი ხალხი დღეს უნდა გამოერკვეს ამ საკითხში. ეკონომიურ პოლიტიკის საქმე ამ წუთში, როდესაც უნდა შემუშავდეს ამიერკავკასიის ფედერალურ სახელმწიფოს კონსტიტუცია და საბაჟო პოლიტიკა—არის კარდინალური საქმე, ამ საქმეს სათავეში ჩაუყენოთ ისეთი მოღვაწე, რომელიც საბაჟო პროტექციონიზმის გზას დაადგება, ვინაიდან სხვა გზით ჩვენ არ შეგვიძლიან ხიარული. თუ ეს საკითხი დღეისათვის არ გადაწყდა შეიძლება დემოკრატიზმზე ვუყვიროთ მთელ ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ხუთ წელშივე მოვსპობთ მთელი ჩვენი ხალხის საწარმოვო ენერგია და ეროვნული სიმდიდრე.

ფედერაციის გამოცხადება არის აქტი სახელმწიფოებრივი ემანსიპაციისა, ეს აქტი უნდა იყოს ამავე დროს აქტი ეკონომიური ემანსიპაციისა, **როგორც ავტონომიზმი არის აქტი პოლიტიკურ პროტექციონიზმისა, ისევე ავტარხიზმი არის აქტი ეკონომიურ პროტექციონიზმისა.** ვინც ემხრობა პირველს, უნდა მიემხროს მეორესაც—აქ სხვა გზა არ არის [illegible].

ჩვენში მრეწველობა კი არ არის; მხოლოდ მრეწველობის ჩანასახი არსებობს, ეკონომიური პრიმიტივიზმი—აი საქართველოს ეკონომიკა ამ ჟამად. როგორც ემბრიონისათვის სითბო და წმინდა კულტურა მფარველობაა საჭირო, ისევე საქართველოს ეკონომიკისათვის აუცილებლად საჭიროა აღმზრდელი, მფარველი, დამხმარე—ერთი სიტყვით სახელმწიფოებრივი აღმზრდელობითი პოლიტიკა. სოფლის მეურნეობა იძლევა დიდ მასალას სამეურნეო და სამრეწველო კულტურისათვის. მიწა, წყალი, ბარი—დიდი პოტენციაა სიმდიდრისა. საქართველო ეხლავე უნდა დაისეროს რკინის გზებით, მიმოუჩქვათ ფინანსიურ კაპიტალი, მანქანები, ხოლო შევავიწროვოთ უცხოეთის ინდუსტრიის ექსპორტი. ელექტრონის ძალა, სითბო, წყლის ენერგია, ნახშირი, ქვა, ლითონი, ძაფი, ბოსტნეული, ბაღები ყოველგვარ ექსპონატს მოგვცემს, რომელიც საქართველოს სამრეწველო ვიტრინას დაამშვენებს. ამისათვის კი მხურვალე მუშაობა, მომენტის, კაპიტალის, მიწის და სახელმწიფოებრივ უფლების უტილიზაციაა საჭირო.

პროტექციონიზმის ფილოსოფიური საფუძველი—ნაციონალიზმია. ეროვნული აღორძინება—პროტექციონიზმის გზაა, ევროპის რენესანსი პროტექციონიზმის ქადაგება იყო და საქართველოს რენესანსსაც ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ პროტექციონიზმის ქადაგებით მივაღწევთ.

ევროპის რენესანსი იყო რენესანსი ინდივიდუალიზმისა, კერძო თაოსნობისა, ეხლანდელი რენესანსი არის რენესანსი კოლექტიური, კომუნისტური და პროტექციონიზმსაც კოლექტივისტური მიზნები უნდა ჰქონდეს მხედველობაში. საზოგადოებრივი მეურნეობა, თემების მრეწველობა, ქალაქების მეურნეობა, კოოპერატიული ინდუსტრია, აგრარული და საკრედიტო კულტურა—აი საგანი თანამედროვე ეროვნული პროტექციონიზმისა. ამიტომაც არის—**მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის რენესანსის ხალხი პროტექციონიზმს ანვითარებდა არისტოკრატიის საშუალებით და სარგებლობდა დემოკრატიაც, ეხლა ეროვნულ პროტექციონიზმს ხელმძღვანელობას გაუწევს დემოკრატია დემოკრატიისათვის და ისარგებლებს არისტოკრატიაც.** ამაში გამოიხატება განსხვავება ახალი დროისა და მიზნისა ძველი დროისაგან.

თედო ღლონტი

იქ გაკვირვებით გვიყურებდნენ გზაში ჩასაფრებული ასკერები. მალე მათ სადგომშიც მივედით. მაშინვე იქ შემოხვდნენ ოფიცრები და მათი უფროსი **ემინ-ბეი**. ცხენები მყისვე ჩამოგვართვეს ასკერებმა. ემინ-ბეიმ მიგვიპატიჟა იქვე ეზოში.

გვკითხა, ფრანგულად თუ ლაპარაკობთო.

უპასუხე ცუდად ვლაპარაკობ-მეთქი, შემდეგ გამოგვკითხა სახელები და რა ჩინისა ვართ. უთხარი რომ ჯარისკაცი ვარ და ის კი—მიუთითე ჩვენს კაპიტანზე, არტილერიის კაპიტანია-თქვა. არ დამიჯერა, რომ მე ჯარისკაცი ვარ.

კაპიტანმა გადასცა ბრძანება, რომელიც ჩვენ მივიღეთ გენერალ მ—გან დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. ემინ-ბეიმაც გვითხრა, რომ ჩვენც მივიღეთ ასეთი ბრძანება ჩვენი ფაშისაგან და საომარი მოქმედებაც შევწყვიტეთო. მუსაიფში ვიყავით გართული, რომ მოგვართვეს ჩაი.

ემინ-ბეიმ ბოდიში მოიხადა კონიაკს მოგართმევდით, მაგრამ ეხლა აქ არა გვაქვსო.

ემინ-ბეი, როგორც თვითონ გვითხრა ბატალიონის უფროსი არის. დაახლოებით 45—50 წლის კაცი იქნებოდა. შეხედულობა სიმპატიური და ლმობიერი ჰქონდა. ყოველივე მისი სიტყვა და მოქცევა თავაზიანი იყო. ჩაის მეორე ჭიქას ვათავებდით, რომ მოვიდა ცხენებით მთელი ფრონტის უფროსი **ხაზით-ბეი** გერმანელ გენერალის, ოფიცრების და ასკერების თანხლებით. ყველანი ზეზე წამოხტნენ მსწრაფლ ჩამოართვეს ცხენები მოსულებს და მზად იდგნენ განკარგულების ასასრულებლად.

ხაზით-ბეის სკამი მიართვეს. დაჯდა მედიდურად და თვალების ბრიალით ბოლოს გადმოგვხედა ჩვენ და იკითხა, ესენი ვინ არიანო. იმათმა უპასუხეს, თუ ვინ ვიყავით. არასოდეს არ დამავიწყდება ამ ნამდვილ ოსმალოს ტიპიური სახე. მისი მრისხანე სახე და მედიდური ქცევა—ეტყობოდა ყველას აშინებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შემოგვხედა და გვითხრა, დიდად სასიამოვნოა თქვენი აქ მოსვლაო. შემდეგ გვითხრა, რატომ გუშინ აგრე უეცრად აგვიტეხეთ სროლა, ხალხი დაგვიხოცეთ რას გვერჩოდითო.

უპასუხეთ, რომ საკვირველია თქვენი ასეთი კითხვა.

რატომ თქვენ თვითონ შემოჭრილხართ ჩვენს ტერიტორიაზე და გვებრძით რა უფლებით დაიკავეთ ბათომი და ოზურგეთის მაზრის ერთი ნაწილი თქვა.

ხაზით-ბეიმ სთქვა ჩვენ მოვდივართ არა თქვენს ასაკლებად, არამედ წესიერების დასაცავად აი რუსეთში ბოლშევიკებმა ანარქია მოახდინეს. კავკასიაშიდაც რომ არ მოხდეს ასეთი ანარქია, ამისთვის საჭიროა ჩვენი ჯარის შემოსვლა და წესიერების დაცვა. უპასუხეთ ამიერ-კავკასია და კერძოთ ქართველი ერი არასოდეს შეურიგდება ოსმალოს ჯარის აქ შემოსვლას და ჩვენს დაპყრობას. ქართველი ერი მუდამ იბრძოდა თავისუფლებისთვის და ის ეხლაც მედგრად იბრძოლებს თუ კი ვინმე გაბედავს და წინ გადაეღობება მის კანონიერ ნების-ყოფას, ოსმალეთი იქნება ეს თუ რუსეთი. ჩვენ რუსეთის თვითპყრობელობა დავამხვეთ და ისევე შევებრძოლებით მონარქიულ ოსმალეთსაც, თუ მოინდომებს ჩვენზე გაბატონებას. რაც შეეხება თქვენ არგუმენტაციას ვითომც და თქვენ მოდიხართ წესიერების აღსადგენად და ბოლშევიკების განსადევნად, ეგ ზედმეტია. რადგან ამას ჩვენ უკეთ მოვახერხებთ ვიდრე თქვენ. ხაზით-ბეიმ გაიღიმა და გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ გვკითხა—რატომ აშინებთ ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩვენი აქ მოსვლით და ისინი სტოვებენ სახლ-კარს და გარბიან. ჩვენ მათ არასდროს ხელს არ ვახლებთ აბა ნახეთ თუ რაიმე გაგვიფუჭებია. შეიძლება ჩვენმა ასკერებმა ქათამი მოჰკლან, რომელიც აქ ფრონტზე არის[illegible] ასე, თქვენი ასკერებიც მოიქცევიან ლორებს ჩვენ არ ვსჭამთ. აქ კი უპატრონოდ დადიან. უთხარით მოხუცებულებს კაცებს და ქალებს, რომ მოვიდნენ და მოუარონ თავიანთ ოჯახებს—ჩვენ არაფერს დავუშავებთ, უთხარით ბრძოლის დროს შეუძლებელია მშვიდობიანი მცხოვრები აქ დარჩნენ თქვა.

რატომ გარბიან თქვენი ჯარისკაცები ფრონტიდან—გვეუბნება საზით-ბეი—ჩვენ გვეგონა მარტო რუსები გარბოდნენ და აი გურჯებიც კი გარბიხართო. ამის საპასუხოდ უთხარით—თქვენ შემოგვიტიეთ იმ დროს, როდესაც კიდევ საზავო მოლაპარაკება სწარმოებდა. მოუმზადებელი ვიყავით, თქვენთან ომს არა ვფიქრობდით, რის გამოც ჩვენმა მცირედმა ძალამ უკან დაიხია. ეხლა მდგომარეობა იცვლება. გუშინ თქვენი ჯარი მთელი დღე ებრძოდა არა რეგულიარ ჯარს არამედ სოფლელ მოხალისეებს რაც შეეხება რეგულიარულ ჯარს ის კი გუშინ საღამოთი მოვიდა და აი დაიჭირა და გაამაგრა ეგ პოზიციები, მიუთითეთ წყლის გაღმა ამართულ გორაკებს აი ეს,—უთხარი, მე, ჩვენი არტილერიის კომანდირია. თქვენი ბედი, რომ ჩვენ განკარგულება მივიღეთ დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ, თორემ ამ ღამით სულ ერთიანად გაგანადგურებდით. რადგან დროებითი ზავია, ჩვენს ჯარს ნაბრძანები აქვს არც ერთი თოფი არ გაისროლეს.

— ჩვენი ასკერიც არ ისვრის თუ ჩვენი ასკერი ნახოთ ამ წყალს გაღმით გასული ის შემდეგ ჩვენი არ არის და როგორც გინდათ ისე მოეპყარით.

— საიდან მოვიდა თქვენი ჯარი?—ჰკითხა კაპიტანს საზით-ბეიმ.—კაპიტანმა უპასუხა—ჯერ თქვენ გვითხარით, საიდან მოვიდა თქვენი ჯარი?

საზით-ბეის გაეცინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მოგვართვეს ჩაი. უარი არ გაგვივიდა.

ჩაის ვსვამდით, რომ კაპიტანმა მანიშნა იქვე ჩემს გვერდით მჯდომ გენერალზე—„შეხედე მგონი ის გერმანელი უნდა იყოსო"—მეც შევხედე.

მართლაც ის და კიდევ ერთი ოფიცერი გერმანელები აღმოჩნდნენ. გერმანელი გენერალი დრო გამოშვებით ოსმალურად ელაპარაკებოდა ემინ-ბეის შემდეგ გერმანულად დაუწყო ლაპარაკი გვერდში მჯდომ ოფიცერს—გერმანულ ენის გაგონებაზე უეცრივ მათკენ მივიხედე. შემნიშნა და ჩუმად განაგრძო ლაპარაკი.

საზით-ბეიმ გვთხოვა სანგრებში დარჩენილი მოკლულების და დაჭრილების წაღების ნებართვა—ჩვენც ნება მივეცით და თანაც ვთხოვეთ ჩვენთვისაც დაერთო ასეთი ნება.

გვითხრა, რომ გუშინ საღამოთი თქვენი და ჩვენი დახოცილები ერთად დავასაფლავეთ და თუ გნებავთ, ჩვენ ნებას დაგრთავთ და თქვენი მოკლულები წაიღეთო.

რამდენიმე ხნის მუსაიფის შემდეგ გამოვემშვიდობეთ. ასკერებმა მაშინვე მოგვგვართვეს ცხენები. საკვირველი დისციპლინა არსებობს ოსმალოს ჯარში. ყველანი შეუჩერებლივ, ფიცხლავ ასრულებენ უფროსების ბრძანებას. ჯარის კაცები ყველანი კარგად არიან ჩაცმულნი, ოფიცრები უკეთესად. წამოსვლისას გამოგვაყოლეს ერთი ასკერი და გამოვსწიეთ. გზაში შემოგვხვდნენ ჩვენი ექიმი და სანიტარები. მოკლულებს ჰკრებდნენ.

მოვედით ჩვენს ბანაკში. ჩვენ არტილერისტებს სადღაც დაეტყვევებინათ ორი ასკერი. გარს შემოხვეოდნენ და ეხუმრებოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ბრძანება პოზიციის გამოგვეცვალა.

შ. გადაჭკორია.

სამეგრელოს შავი დღეები

როგორც მოეხსენება მკითხველ საზოგადოებას, ოსმალეთთან ომის გაგრძელებით გამოწვეულ მობილიზაციას საქართველოში განსაკუთრებული უარყოფით შეხვდა სამეგრელო.

ამ მიმდინარეობის სულის ჩამდგმელად, როგორც თავისთავად ადვილად საგულისხმოა, გამოვიდნენ ბოლშევიკური მოძღვრებით გზა და კვალ აბნეული ჯარის-კაცები.

ნამეტურ ცუდად იყო საქმე ბანძას რაიონში სადაც ჯარის-კაცებმა, რომლებმაც დაირქვეს ბოლშევიკის სახელი, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მობილიზაციის წარმოებას. ბოლოს და ბოლოს საქმე იმ ზომამდის მივიდა, რომ მობილიზაციის მთავარი ხელმძღვანელი სამეგრელოში, სეიმის წევრი ვ. ჯიბლაძე, იძულებული შეიქნა ზემოდ დასახელებულ რაზმის გასაძლიერებლად მოეთხოვა სხვა შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად.

ამ გვარი მოწოდებითი დეპეშა 29 მარტს საღამოს მოვიდა ფოთშიაც რისა გამო იმავე დღეს ღამით გაემგზავრა ფოთიდან ბანძის მიმართულებით 70-დე წითელი გვარდიელი პორ. შ. ედიაძის ხელმძღვანელობის ქვეშ. სამწუხაროდ, საბარგო მატარებელმა, რომელმაც წაგვიყვანა, ძლიერ დაიგვიანა გზაზე, ასე რომ ჩამოგვასხა აბაშის სადგურზე მხოლოდ მეორე დილას. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამის უძილო მოგზაურობით ძლიერ მოღლილიყო ფოთელი რაზმი, სენაკის რაზმთან ერთად, რომელიც სენაკში შემოგვიერთდა, აბაშიდან გამგზავრებულიყო პირდაპირ ბანძისკენ (აბაშიდან ბანძამდის 21 ვერსია), მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ იქნა მოყვანილი სისრულეში, რადგანაც ვ. ჯიბლაძე თავისი ჯარის-კაცებით უკვე გამობრუნებულიყო ბანძიდან, ჯარის-კაცები აბაშაში დაეტოვებინა, ხოლო თვითონ წასულიყო სამტრედიაში მთავრობის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად და დაებარებინა მოგვეცადა აბაშაში ახალი განკარგულების მიღებამდის. საღამოს სამტრედიიდან მოვიდა ჯავშნოსანი მატარებელი, რომელმაც ფოთელი და სენაკელი რაზმები წაგვასხა ახალ-სენაკში სადაც დავრჩით პირველ აპრილამდის. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოგვემატნენ შორაპნელი, სამტრედიელი და ქუთაისელი წითელგვარდიელები, ქუთაისის ციხის დამცველი რაზმი და აგრეთვე რეგულიარული ჯარის-კაცები. საერთოდ კი შემტევი ძალა ახალ-სენაკში გაიზარდა დაახლოებით 600 კაცამდის, რომელთა დანიშნულება იყო ემოქმედნა ამბოხებულთა იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც გამაგრებულიყო ნოქალაქევის ცნობილ ციხეში (მდებარეობს ახალ-სენაკის აღმოსავლეთით 15 ვერსზედ, ბანძის დასავლეთით 4—5 ვერსზე). მეორე რაზმი იდგა აბაშაში, რომელსაც უნდა შეეტია ბანძის მიმართულებით. ამავე დროს განმავლობაში მოწინააღმდეგებმა გამოგზავნეს ნოქალაქევიდან სენაკში წარმომადგენელნი და მოითხოვეს მათ წინააღმდეგ წამოყენებული ძალების ბათომისკენ გაგზავნა და ძალაუფლებისა მაზრაში მათ ხელში გადაცემა, რის შემდეგ ვითომცა მზად იყვნენ ისინიც წასულიყვნენ ბათომის დასაცავად.

რა თქმა უნდა, მათი მოთხოვნა და დაპირება არავინ მიიღო და პირველ აპრილს დილით დაიძრა ძალა როგორც სენაკიდან ნოქალაქევისაკენ აგრეთვე აბაშიდან ბანძისკენ. რაზმს ახლდა ზარბაზნები და ტყვიის მფრქვევლები.

ნაშუადღევის, დაახლოებით, 3 საათზე სენაკიდან გასული რაზმი მივიდა ს. კოტიანეთში და გაჩერდა 3½ ვერსის სიახლოვეზე ნოქალაქევის ციხიდან.

შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება იქით აქეთ გზავნა, მაგრამ ყოველივე ცდა საქმის მშვიდობიანად დამთავრებლად დარჩა სრულიად უნაყოფოდ: ნოქალაქევის ციხეში მოკალათებული ვაჟ-ბატონები იმეორებდნენ ერთსა და იმავეს შესახებ ძალა-უფლების მათ ხელში გადაცემისა და ბათომის დასაცავად წასვლისა. ამიტომ გადაწყვეტილ იქმნა ეხმაროთ მათ წინააღმდეგ ძალა და მეორე დღეს, დილით დაეწყოთ ნამდვილი საომარი მოქმედება...

მაგრამ იმ ღამით მიღებულმა საშინელმა ცნობამ შესახებ ბათომის დაცემისა ერთბაშად აგვირია გეგმა და 2 აპრილს გულდაწყვეტილი, სასოება დაკარგული, ილაჯ გაწყვეტილი ჩვენი რაზმი აიბარგა და დამარცხებულსავით გამობრუნდა სენაკსკენ (მეორე რაზმიც გამობრუნებულიყო თურმე ბანძიდან აბაშაში). გზაში ჩვენ გვხვდებოდა ბათომიდან გამოქცეული ჯარისკაცები, მომეტებულად იარაღით ხელში, ხოლო ზოგიერთები ნაცამცვი საქონლითაც. განსაკუთრებით ბლომად მოეყარა ჯარისკაცებს თავი ძველ-სენაკში, სადაც, როდესაც ჩვენ დავუახლოვდით მას, იყო გაცხარებული ზარის რეკვა. როგორც გადმოგვცეს, რეკვა აეტეხათ ჯარისკაცებს კრების მოსაწვევად ჩვენ საწინააღმდეგოდ.

2 აპრილის საღამოდან 5 იმავეთვის დილამდის ჩვენ დავრჩით კვლავ ახალ-სენაკში. ამ ხნის განმავლობაში რამოდენიმეჯერ გამოიცვალა ცნობები შესახებ ბათომის ბედისა და ბოლოს დანამდვილებით გავიგეთ, რომ ბათომი მართლა წაგვგვიდა ხელიდან, მაგრამ ამასთან ერთად ნათელი შეიქნა ისიც, რომ მიუხედავად ბათომის დაკარგვისა ბანძა-ნოქალაქევის ამბის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა და კვლავ მიექცეულ იქმნა ამ საკითხისადმი ჯეროვანი ყურადღება. ამასთან ერთად გამოირკვა ისიც, რომ ბანძა-ნოქალაქევის „გმირებს", რომლებიც თავის თავს ბოლშევიკებს უწოდებდნენ, არა ჰქონდათ არავითარი კავშირი სხვა ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან და ამნაირად ისინი წარმოადგენდნენ წმინდა კონტრ-რევოლიუციონერთა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ყაჩაღთა ბრბოს. ამიტომ 4 აპრილს კვლავ გადაწყვეტილ იქმნა შემდეგ დღიდან ამ ბრბოს წინააღმდეგ გადაჭრილი და სასტიკი ზომების მიღება.

პაიტ.

სირცხვილი მეგრელებსო გვესმის ყოველ მხრით! მტერი სამშობლოს წალეკვას ემუქრება და ძმინი კი სხედან თავიანთ სახლებში და არ მიდიან მტრის წინააღმდეგო. ამას გვეუბნებიან მაშინ, როდესაც ზოგი მეგრელის ოჯახიდან, სამი-ოთხია გაჭრილი ბრძოლის ველზე და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე უნდა დაიცვას სამშობლო—მტრის სისასტიკისაგან. მაგრამ განა ამით შეგვიძლია თავი ვიმართლოთ, განა გამონაკლისები და სამაგალითო ადამიანები ოდესმე ყოფილა საერთო ხასიათისა? არც არასოდეს და ჩვენც, მეგრელებმა მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეგნებული და თავის სამშობლოს მოყვარული შვილი იბრძვის სამშობლოს დასაცავად, უნდა ვსთქვათ მაინც სირცხვილი ჩვენ, რომ ვყოყმანობთ და ამ ყოყმანით ვირცხვენთ სახელს და ვეჭკაცობას. ნეტავი, რას უცდით, ნეტავი რას უცდით ძმებო? ნეტავი რას ელით ძმებო, რომ დროზე არ მიდიხართ მტრის სამტროდ? ნეტავი რას ფიქრობენ ის ვაჟბატონები, რომლებიც ამ განსჯა-განკითხვის დროს სამშობლოს განზე უდგებიან? ნეტავი თუ შეგვფერის, ესოდენი შეუგნებლობა მოვალეობისა და სილაჩრე მტრის წინაშე, მეგრელო ვაჟკაცო!

მეგრელები, ეს სიცოცხლით და ენერგიით სავსე ხალხი განა უნდა უკრთოდეს მტრის რისხვას? არა, ეგ დაუჯერებელია მეგრელს გასაჭირში შიში სილაჩრე არ სჩვევია, შეგნება მოვალეობისაც არ აკლია, მაგრამ აქ სხვა რაღაც მიზეზია, ვიღაც ბნელი ძალები ამოქმედებთ ასე სამარცხვინოთ. მეგრელებო, ძმებო, სირცხვილი თქვენიო, გადმოგვძახიან ჩვენი შეგნებული ძმები, ქართლელები, იმერლები, კახელები, და სხვა. მეც თქვენი დაი მეგრელი ქალი გეტყვით, რომ სირცხვილი თქვენ ეხლა და აწ კი ვსურვებ, მოიშორეთ ეს სირცხვილი, რომ ისტორიამ თქვენთვის ზიზღი არ შექმნას. გასწით ძმებო, მიყევით თქვენს ძმებს რომლებიც უკვე წასული არიან და სისხლს ანთხევენ, შეუერთეთ თქვენი ძალა მათ და საერთოდ ყოველი ქართველებს, რომლებიც თავგანწირულად იცავენ სამშობლოს უბედურობისაგან. გასწით ძმებო და დაეცით რისხვა მტერს!..

კლავდია გაბუნია.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
[illegible] კომიტეტისა

სახმაროდ ვეძებ
ქართულ თორნის პურის დამკვრელს მეცხრე კომისარიატი; ანტონოვის ქუჩაზე; № 1 შეეკითხეთ სახლის პატრონს. 152

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მ-დათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 150

ექიმი
[illegible]
იღებს სასქესო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სად. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პაოლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს. გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს სად. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
გ. გ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს. ყოველ დღე გარდა [illegible] მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] 1030

ქ. კავკაზში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცების 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ვ. ჩინმძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბო-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭების და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეზხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევს 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით):
„606" და „914" 9—12 ს.
ხ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ზ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აგეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. ვ ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საზებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ახალი წიგნი
გრიგოლ ვეშაპელი
საქართველო და რუსეთი
(მეფე ერეკლეს პოლიტიკა)
საქართველოს ისტორიული საზღვრების რუქით.
ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.
წიგნი იყიდება: „წერა-კითხვის" და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

☞ სტამბა ☜
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14